ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ№GF-T/SSP/G-27

ქ. თბილისი8სექტემბერი2014 წელი

1. ხელშეკრულებისდამდებიმხარეები

1.1. ერთიმხრივ, სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი",წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის(შემდგომში „შემსყიდველი") ირმა ხონელიძის სახით, და მეორე მხრივ, შპს „ავერსი-ფარმა" (შემდგომში „მომწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალურიდირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით.

2. ხელშეკრულებისსაგანი

2.1. შემსყიდველმა„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისადგანახორციელა გამარტივებული შესყიდვა - აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებით „ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა" პროგრამის მიზნებისათვის გვერდითი ეფექტების მართვის მედიკამენტების შესყიდვა(CPV კოდი **33600000**),სახელმწიფოშესყიდვაზე, რაზედაც მომწოდებელმა აიღო ვალდებულება მოაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **121.80**(ასოცდაერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი)ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

3.1.

N	დასახელება	სავაჭროდასახელება / მწამოებელი	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთფასი	ჯამი
1	კარბამაზეპინი	Carbamazepin/Balkanpharma-Dupnitsa AD	200 mg tab	1500	0.0812	121.80

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1.

ხელშეკრულებისშესრულებისკონტროლსგანახორციელებსხელშეკრულებისშესრულებისკონტროლისგანსახორციელებლად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და საამისოდუფლებამოსილიპირი.

4.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარგდენა, საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მომწოდებელს.

5. შეფუთვა

5.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

5.2. მომწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება არასწორი შეფუთვით, ტრანსპორტირების ან/და ტემპერატურული რეჟიმის პირობების დარღვევით.

6. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარუაშვილის ქ. №50. სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, სადაც სასაქონლო ზედნადების გაფორმების მომენტიდან შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.

6.2. მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება მოწოდებული საქონლის ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.2. საქონლის შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე მიწოდებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე მომწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს საქონლის მიწოდების ვადის შესახებ.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტებს და სასაქონლო ზედნადებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მომწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი, რომელთა ხელმოწერამე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მომწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა და რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

7.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით, მიწოდებული საქონლის ხარისხის ან/და ანალიზის სერტიფიკატი (შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში).
7.5. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.4. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის დაგვიანებით მიწოდების შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელს.
7.6. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.4. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა საქონლის მიწოდების თარიღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, გარდა საგადასახადო დოკუმენტაციისა, რომლის წარდგენა ხორციელდება საქონლის მიწოდებისას.

8. საქონლის ვარგისიანობის ვადა

8.1. სამკურნალო საშუალების ვარგისიანობის ვადა მოწოდების მომენტისთვის უნდა იყოს არანაკლებ მთლიანი ვარგისიანობის ვადის 65%-ისა.
8.2. 8.1. პუნქტის გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ან სხვა მიზეზით მოწოდებულ საქონელზე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში (სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე) მომწოდებელი ვალდებულია, მოწოდებული საქონლის წუნდების შესახებ დასაბუთებული შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 30 დღეში განახორციელოს ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. აღნიშნული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საქონლის დეფექტურობა გამოწვეულია შენახვის პირობების დარღვევით ან/და არამიზნობრივი (არადანიშნულებით) გამოყენებით.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე საქონლის მოწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა.
9.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: სასაქონლო ზედნადები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით. სასაქონლო ზედნადებში წინამდებარე ხელშეკრულების ნომრის მითითება სავალდებულოა.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მოწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
10.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) მოწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
10.4. მომწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
10.5. მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მოწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. საქონლის მოწოდებისთვის განსაზვრული ვადების ან/და ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში მომწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მიუწდოებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
11.2. ხელშეკრულების 7.6. პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მომწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მისაწოდებელი საქონელის ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
11.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%–ის ოდენობით;
11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.3. ფასების ცვლილება დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, რაც განპირობებული უნდა იყოს ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაღალი დონე (არანაკლებ 5%-ით), საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება (არანაკლებ ±5%-ით) და სხვა;
12.4. ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან/და შემცირება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ს.
12.5. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დამატებითი შეთნხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორული გარემოებები

13.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
13.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
13.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
13.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
13.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
13.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
13.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.
15.2. მხარეთა შეანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით 30 დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.
15.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
15.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

16. სხვა პირობები
16.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
16.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
16.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
16.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
16.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
16.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მომწოდებელთან", ორი - „შემსყიდველთან".
16.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9
ს/კ N211324351

სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022

ირმა ხონელიძე
გენერალური დირექტორის მოადილე

ბ.ა

„მომწოდებელი"

შპს „ავერსი-ფარმა"

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N148
ს/კ N211386695

სს. „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE 06 BG 0000 0001 2293 2100

ირაკლი ფურცელაძე
გენერალური დირექტორი

ბ.ა